



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო
პროგრამა, ბაკალავრიატი

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
18/12/2023

დასკვნის წარდგენის თარიღი
18/01/2024

თბილისი

შინაარსი

| | |
|---|----|
| I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ..... | 4 |
| II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა..... | 5 |
| III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან..... | 7 |
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... | 7 |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | 13 |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა..... | 18 |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | 20 |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... | 26 |

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

| | |
|--|--|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით | შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 200002120 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ფარსადანიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო დოლიძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანა მიხელიძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი |

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|-------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | საჯარო მმართველობა და პოლიტიკა |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია ² | საჯარო მმართველობის ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³ | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული, # 794252, 12/07/22წ. |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | - |

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის პროგრამა მიზნად ისახავს საჯარო მმართველობის სფეროში იმ მოხელეთა მომზადებას, რომლებსაც პროფესიული პასუხისმგებლობის ფარგლებში, შეეძლება იმოქმედონ ადამიანის უფლებების დაცვისა და სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპების უზრუნველყოფის მიზნებისათვის.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა მოაგროვოს არანაკლებ 240 კრედიტი, რაც ნაწილდება სავალდებულო და არჩევით კომპონენტებზე. პროგრამაში ასევე ინტეგრირებულია სოციალური აქტივობის კომპონენტი, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებში აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებას.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამაზე აკრედიტაციის ექსპერტთა მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 დეკემბერს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროგრამის შესაბამისობის შემოწმება აკრედიტაციის 5 სტანდარტთან.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უსდ-ს ადმინისტრაციას, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებს, სტუდენტებს. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან.

▪ რეკომენდაციები

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

უსდ-მ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტი. შესაბამისად ექსპერტთა დასკვნში დამატებითი არგუმენტაციის ასახვის საჭიროება არ არის.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და უსდ-ში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გადაიხედა პროგრამის მიზნები და ისინი ჩამოყალიბდა განახლებული რედაქციით, რაც სრულად შესაბამისია სწავლის სფეროს, საფეხურისა და პროგრამის თავისებურებებთან, კერძოდ პროგრამას განესაზღვრა შემდეგი მიზნები:

01. მოამზადოს ფართო თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციებით აღჭურვილი საჯარო მმართველობის სპეციალისტები, რომლებსაც ეცოდინებათ ეროვნული მმართველობითი სისტემის თავისებურებები, ინსტიტუტები, მექანიზმები, შეძლებენ საჯარო მმართველობის დარგობრივი პრობლემების გააზრებას, ანალიზს, დასკვნების გაკეთებას და შესაბამისი დოკუმენტების/კვლევითი პროექტების შემუშავებას წინასწარი მითითებების საფუძველზე.

02. შესძინოს სტუდენტებს ცოდნა სახელმწიფოს მართვისა და საჯარო პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპების, თანამედროვე მეთოდების, სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების შესახებ, რითაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას, ფუძემდებლური ეთიკური ღირებულებების გააზრებას, ჩამოუყალიბებს თანამედროვე პროფესიული კატეგორიებით აზროვნებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში ცოდნის გამოყენების უნარს, შესაბამისად, მოამზადებს, მაღალკვალიფიკაციურ სპეციალისტებს შრომის ბაზრისთვის.

03. შექმნას ეფექტიანი შემეცნებითი ინფორმაციული და მეთოდოლოგიური სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს გაიაზრონ არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული საერთაშორისო შრომის ბაზრის კონიუნქტურა - შეისწავლიან ევროპული ან გლობალური მმართველობის ძირითადი მიმართულებები, დაეუფლონ პროფესიულ ინგლისურს, მონაწილეობა მიიღონ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესში.

04. გაუფართოოს სტუდენტებს ზოგადინტელექტუალური რესურსი უნივერსიტეტისა და პროგრამის განმახორციელებელი სკოლის მისიით/სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად - შექმნას სასწავლო-მეთოდოლოგიური პლასტი, რომლის საფუძველზეც სტუდენტები შეძლებენ ეროვნული და მსოფლიოს კულტურულ-ისტორიული გამოცდილების, ეთიკური და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებითი პრინციპების გააზრებას თანამედროვე გამოწვევების კონტექსტში.

05. ჩამოუყალიბოს სტუდენტებს დარგობრივი და ზოგადბაზისური კომპეტენციები, რომლითაც შეძლებენ ცოდნის სისტემატურ განახლებას მთელი სიცოცხლის მანძილზე და შემდგომ

საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას - განუვითაროს საჭირო ინფორმაციის მოძიების, კრიტიკულად გააზრებისა და პრაქტიკულად გამოყენების უნარი, გაუფართოოს წერითი და ვერბალური კომუნიკაციის შესაძლებლობა, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.1 პროგრამის მიზნები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია საჯარო მმართველობის სფეროს თავისებურებების გათვალისწინებით და ლოგიკურ ბმაშია პროგრამის დეტალიზებულიად გაწერილ მიზნებთან. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ პროგრამის კომიტეტის მუშაობის პროცესში პროგრამის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართულნი არიან დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომელთა მოსაზრებებიც აქტიურად არის გათვალისწინებული ერთის მხრივ სწავლის შედეგების ფორმირების, ხოლო მეორეს მხრივ პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვისა და შემდგომი განვითარების პროცესის დაგეგმვის მიზნებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მონიტორინგის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება არის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ნაწილი. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტში, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია უსდ-ს ვებ-გვერდზე.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგებს განიხილავენ პროგრამის კომიტეტისა და დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კომიტეტები ერობლივად.

კომიტეტები აანალიზებენ ანგარიშს, აფასებენ პროგრამის განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხს და გეგმავენ ღონისძიებებს შემდგომი გაუმჯობესება-განვითარების მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის შეფასების მექანიზმები და განხორციელებული შედეგები
- მონიტორინგის ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის წინა ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გაცემული იყო სამი რეკომენდაცია და ერთი რჩევა, რაც ითვალისწინებდა: პროგრამის ინგლისურენოვანი ვერსიის სახელწოდების დაზუსტებას (Public Administration and Policy); საჯარო მმართველობისათვის რელევანტური საგნების რაოდენობის გაზრდას; საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსის დამატებას. რჩევის სახით შეთავაზებული იყო საჯარო მმართველობის რელევანტური კურსების გადაჯგუფება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო მოდულში. უსდ-ს მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული ექსპერტთა მოსაზრებები. შესაბამისად, პროგრამაში განხორციელდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული განახლება.

პროგრამა შედგენილია არსებული ეროვნული რეგულაციების დაცვით და გათვლილია ოთხ აკადემიურ წელზე. პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 240 კრედიტის მოგროვებას, სტანდარტული დატვირთვით 60 კრედიტი წელიწადში, არაუმეტეს 75 კრედიტისა წელიწადში.

პროგრამის სასწავლო კურსები დაყოფილია ორ ჯგუფად: 1. ძირითადი სწავლის სფერო, რომელიც, თავის მხრივ გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. ძირითად კურსებში, საჯარო მმართველობისათვის რელევანტური შინაარსობრივი კომპონენტის გაძლიერების მიზნით

პროგრამაზე შემუშავებულია კონცენტრაციის მოდულები - ეროვნული, ევროპული და გლობალური მმართველობის მოდულები.

2. თავისუფალი კომპონენტები, რომელიც, ასევე, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.

კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად: ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტები: • ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო მოდული - 147 კრედიტი; • ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი მოდული - სავალდებულოა არანაკლებ 28 კრედიტის მოგროვება; • კონცენტრაციის მოდული - 30 კრედიტი (სტუდენტს შეუძლია გაიაროს კონცენტრაციის მოდულის ყველა სასწავლო კურსი ან აირჩიოს, არანაკლებ, 3 სასწავლო კურსი, დანარჩენი ორი - შეუძლია შეარჩიოს სხვა კონცენტრაციის მოდულებიდან ან/და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან): - ეროვნული მმართველობა - ევროპული მმართველობა - გლობალური მმართველობა თავისუფალი კომპონენტები - სულ 35 კრედიტის მოცულობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსისათვის გამოყოფილი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები ადეკვატურად არის განაწილებული და აისახება შესაბამის ECTS მოცულობაში, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

პროგრამის ძირითადი კომპონენტის ფარგლებში შეთავაზებულია სამი მოდული - ეროვნული მმართველობა, ევროპული მმართველობა და გლობალური მმართველობა. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო მოდულის მოცულობაა 147 ECTS. არჩევით მოდულში სავალდებულოა მინიმუმ 28 ECTS-ის აღება. კონცენტრაციის მოდული მოიცავს 30 ECTS, ხოლო თავისუფალი კომპონენტები - 35 ECTS.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა განახლებულია და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- მოდულების/კონცენტრაციების სილაბუსები
- უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|--|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის წინა ვიზიტის დროს აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით რეკომენდაცია არ ყოფილა გაცემული. პროგრამაზე შემუშავებულია და ხორციელდება დაშვების გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. განსაზღვრულია დასაშვებ სტუდენტთა რაოდენობა.

პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება, ისევე როგორც მობილობა, რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად, ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტაციის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის წარდგენის და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო დონეზე განსაზღვრულია საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები. შესაბამისი პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის დებულებით „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“.

ინფორმაცია განთავსებულია უსდ-ს ვებ-გვერდზე, ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები აბიტურიენტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუები უსდ-ს ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
- სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის წინა ვიზიტის დროს აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით რეკომენდაციები გაცემული არ ყოფილა.

პრაქტიკული უნარების გამომუშავება უზრუნველყოფილია როგორც კონკრეტულ საგნებში გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტით, რომელსაც შესაბამისი შეფასების კომპონენტი ახლავს, ასევე დამოუკიდებელი პრაქტიკული კომპონენტების მოდულებით. სწავლების მესამე სემესტრში საგნებში „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები“, „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი (პრეკლინიკა) და ინგლისური ენა საჯარო მმართველობისათვის, ასევე მეხუთე სემესტრში კურსში „ეტიკეტი ოფიციალურ ურთიერთობებში“, მეექვსე სემესტრის კურსში „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ გათვალისწინებულია პრაქტიკული მუშაობა/პრეკლინიკა. აღნიშნულ აქტივობას შესაბამისი შეფასება აქვს კურსების შეფასების რუბრიკებში.

გარდა ამისა, კურიკულუმით გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკა, 7 ECTS მოცულობით, რაც გულისხმობს დარგობრივ ორგანიზაციაში სტუდენტთა მცირე დროით მივლინებას და ორგანიზაციის საქმიანობაში უშუალო მონაწილეობის მიღებას, ასევე უნივერსიტეტის სტუდიურ/ლაბორატორიულ რგოლში (სასწავლო პრაქტიკა) მუშაობას.

უსდ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები შესაბამის ორგანიზაციებთან.

პრაქტიკული უნარების გამომუშავებას ხელს უწყობს ასევე კურიკულუმის გარეთ დაგეგმილი აქტივობები, სოციალური პროექტების სახით. აღნიშნული აქტივობა წინაპირობას წარმოადგენს

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვებისათვის. პროექტის დასრულების შემდეგ განმხორციელებელი ჯგუფი წარმოადგენს პრეზენტაციას გაწეული საქმიანობის შესახებ.

კვლევითი და სამეცნიერო უნარების განვითარება საბაკალავრო პროგრამაზე ძირითადად უზრუნველყოფილია საბაკალავრო ნაშრომის მომზადებითა და დაცვით, რასაც წინაპირობად უძღვის შესაბამისი კურსების გავლა კვლევის მეთოდების შესასწავლად. სადიპლომო ნაშრომის მოცულობა 15 ECTS-ს მოიცავს. აკრედიტაციის პროცესში გაცემული რჩევა მოიცავდა აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის გაზრდის საშუალებით საბაკალავრო ნაშრომებზე მუშაობის პოტენციალის ზრდას, რაც უსდ-ს მიერ გათვალისწინებულ იქნა (იხ. ქვესტანდარტი 4.1.) სტუდენტების მიერ კვლევის დამოუკიდებლად წარმოების უნარს ხელს უწყობს ის, რომ საბაკალავრო ნაშრომისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება თავად სტუდენტის მიერ.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას საერთო კვლევით საქმიანობაშიც სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამა
- o შესაბამისი კურსების სილაბუსები
- o ინტერვიუები მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამტავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე გამოიყენება მრავალფეროვანი სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც პროგრამის თითოეულ კურსში კურსის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე არის განსაზღვრული და შეესაბამება განათლების საფეხურს.

სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამა
- შესაბამისი საგნების სილაბუსები
- ინტერვიუები მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუები ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. მოქმედებს 100 ქულიანი შეფასების სისტემა. კომპონენტი დაძლეულია 51 ქულის მიღების შემთხვევაში. სემესტრის განმავლობაში გათვალისწინებულია რამდენიმე ეტაპიანი შეფასება, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა.

უკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული შეფასება. საჩივარი (განაცხადი) მიიღება შეფასების გამოქვეყნებიდან 3 (სამი) დღის ვადაში, ხოლო განხილვა ხორციელდება განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა. საჩივარს განიხილავს დეკანის მიერ შექმნილი დროებითი კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია მინიმუმ 3 (სამი) წევრით. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით და მუშაობას წარმართავს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.

გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ჯერ მათ არ დასჭირვებიათ შეფასების გასაჩივრება, თუმცა ინფორმირებულები არიან აღნიშნული პროცედურების შესახებ. შეფასების სისტემის თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები;
- გასაუბრების შედეგები;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.4 სტუდენტების შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|--|---|-------------------------------------|
